



დევიდ რიკარდო

1772 - 1823

ევვიღ ჩიქახემ

პოლიციური გუნდმის
დამგვრის სათავმოვლები

თარგმნილი ინგლისურიდან
ფ. ბობიჩიშვილის მიერ



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 2007

დიზაინერ-

დამკაბადონებელი:
კორექტორები:

ქეთევან გოგავა
ნინო ქორჩილავა
ქეთევან ღონლაძე

© 2007. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISBN 978-99940-68-25-8

შინაგანსი

წინახისიცუამძა 9

თავი I

ტიტულები

განყოფილება I

საქონლის ღირებულება, ანუ ყოველი სხვა საქონლის რაოდენობა, რომელზედაც ეს საქონელი გაიცვლება, დამოკიდებულია შრომის შეფარდებით რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა მის საწარმოებლად, და არა მეტ ან ნაკლებ გასამრჯელოზე, რომელსაც იმ შრომისათვის იხდიან.....11

განყოფილება II

სხვადასხვა ხარისხის შრომას სხვადასხვა გასამრჯელო ეძლევა. ეს გარემოება არ შეადგენს საქონელთა შეფარდებითი ღირებულების ცვლილების მიზეზს.20

განყოფილება III

საქონელთა ღირებულებაზე გავლენა აქვს არა მარტო იმ შრომას, რომელიც უშუალოდ მათ წარმოებაზეა დახარჯული, არამედ იმ შრომასაც, რომელიც შრომის დამხმარე ხელსაწყოებსა, იარაღებსა და შენობებშია მოქცეული.22

განყოფილება IV

ის პრინციპი, რომ საქონელთა წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობა განსაზღვრავს მათ შეფარდებითს ღირებულებას, მნიშვნელოვან სახეცვლას განიცდის მანქანებისა და სხვა ძირითადი და გამძლე კაპიტალის გამოყენების გამო.29

განყოფილება V

ის პრინციპი, რომ ღირებულება არ იცვლება ხელფასის აწევის ან დაწევის გამო, სახეცვლას განიცდის აგრეთვე კაპიტალის არაერთნაირი გამძლეობის გამო და იმ არაერთნაირი სისწრაფის გამო, რომლითაც კაპიტალი უბრუნდება მის გამომყენებელს.37

განყოფილება VI

ღირებულების უცვლელი საზომი.....41

განყოფილება VII

სხვადასხვაშედეგები, რომლებსაც იწვევს ფულის ღირებულების ცვლილება, ე. ი. იმ საზომის ღირებულების ცვლილება, რომლითაც ყოველთვის გამოისახება ფასი, ან იწვევს იმ საქონელთა ღირებულების ცვლილება, რომლებიც ფულით იყიდება.**45**

თავი II

ტენცა **49**

თავი III

სამარნულის ტენცა **63**

თავი IV

მუნიციპალიტეტი და სამაგრო ფასი **66**

თავი V

სელფაცი **70**

თავი VI

მფგება **84**

თავი VII

საგარეო უაჭრობა **102**

თავი VIII

სატურმი **123**

თავი IX

სატურმი ნებრ პროდუქტები **128**

თავი X

სატურმი ტენცაბი **144**

თავი XI

ათისთავი **147**

თავი XII

სააღილამულო სატუ **151**

თავი XIII

სატურმი თქრობები **160**

თავი XIV

სატურმი სახლმშები **169**

თავი XV

სატურმი მფგებაბი **173**

თავი XVI

სატურმი სელფაცი **183**

თავი XVII	
სატურმი ღამებულ პტოლეიმიზე	208
თავი XVIII	
სატურმი ღამიმთა სასატგემლოდ	220
თავი XIX	
უფასა ცულილემიზი უაჭმის მცულელომაში	225
თავი XX	
ოირემულება ღა სიმღიდოვნე, მათი განმახსოვავემული ნიშნები	233
თავი XXI	
ღაგროვემის გაულენა მოგემასა ღა სატგემულზე	245
თავი XXII	
საექსემპლარო პტემილები ღა იმპოტცის აკტიალუა	255
თავი XXIII	
საწარმოთ პტემილები	272
თავი XXIV	
აღამ სმიცის მობრუტემა მიწის ტენცის შესახებ.....	277
თავი XXV	
კოლონიალური უაჭმება	288
თავი XXVI	
მთლიანი ღა წმინდა შემთხვევალი	296
თავი XXVII	
თულის მიმოწერება ღა მანკემი	300
თავი XXVIII	
თქმის, პეტის ღა შრომის შეფატდემითი ღიტემულება მღიდება ღა ღარიშ ქულენემში	320
თავი XXIX	
სატურმი, ჟომლემსაც იხდის მწარმოემული	326
თავი XXX	
მოთხოვნისა ღა მიწოდემის გაულენა ფასემზე	328
თავი XXXI	
მანძანემი	332
თავი XXXII	
მ-ნი მალთესის შესეღელება ტენცაზე	343
სტატია	368

წინასიცუათმა

დევიდ რიკარდოს დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისში სულაც არ უფიქრია, საკუთარი თავი აკადემიური სარბიელისათვის მიეძღვნა. ინგლისში ემიგრირებულ ებრაელთა ოჯახის ჩვიდეტი შვილიდან მესამემ 14 წლის ასაკში მამის ოფისში გაცვლის აგენტად დაიწყო მუშაობა და კარგი ფინანსური პრაქტიკა გაიარა ლონდონის ბირჟაზე.

21 წლისა ქრისტიან ქალიშვილზე დაქორწინდა, რისთვისაც ოჯახმა მოიკვეთა, ხოლო იუდეურმა თემმა გააძევა თავისი რიგებიდან.

1809-1810 წლებში რიკარდო ლონდონის ფინანსური სამყაროს უმსხვილესი ფიგურა გახდა. ფინანსურმა დამოუკიდებლობამ საშუალება მისცა ბუნებისმეტყველების და მათემატიკის შესწავლა დაწყო. მისი ცხოვრება ორად გაიყო — დღის პირველ ნახევარში ბირჟაზე და ოფისში საქმიანობდა, მეორე ნახევარში კი საკუთარ სახლში — ელექტროობაში ცდებს ატარებდა და მინერალების კოლექციას ამუშავებდა. ამ ინტერესების საფუძველზე ლონდონის გეოლოგიური საზოგადოების წევრიც კი გახდა. ენეოდა ქველმოქმედებას — აფინანსებდა საავადმყოფოებსა და თავშესაფრებს.

1799 წელს შემთხვევით წააწყდა ადამ სმიტის „ხალხთა სიმდიდრეს“ და უან ბატისტ სეის „პოლიტიკური ეკონომიკის ტრაქტატს“, რის შემდეგაც სერიოზულად დაინტერესდა პოლიტიკური ეკონომიკის შესწავლით.

1817 წელს 750 ეგზემპლარიანი ტირაჟით გამოქვეყნდა „პოლიტიკური ეკონომიკისა და დაბეგვრის საფუძვლები“, რომელიც რიკარდოს სიცოცხლეშივე ორჯერ გამოიცა.

1819 წელს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი გახდა. მისი მოსაზრებები ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა, განსაკუთრებით — ფულადი პოლიტიკის საკითხებში.

მისი მოულოდნელი გარდაცვალების (51 წლის ასაკში) შემდეგ ინგლისში დაარსდა რიკარდოს მიმდევართა სკოლა. ეკონომიკის თეორიის წარმომადგენელთა შორის „რიკარდოანელობა“ ნიშნავს ეკონომიკურ ხედვას, რომელიც ეკონომიკურ სისტემას აღიქვამს, როგორც სიმდიდრის წარმოებასა და განაწილებაზე მიმართული მოქმედებების და ინსტიტუტების ერთიანობას. ფულთან, გადასახადებთან, არაეფექტიან საბიუჯეტო პოლიტიკასთან, სიმდიდრის გადანაწილებასთან, საერთაშორისო

ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების რიკარდოსეული ანალიზი დღესაც აქტუალურია. მისი სახელი თავისუფალი გაცვლის დამცველთან ასოცირდება: რიკარდოს მიხედვით, პირადი ინტერესი საზოგადოებრივს ერწყმის და გაცვლა ცივილიზებული სამყაროს ყველა ერს/სახელმწიფოს ერთ უნივერსალურ საზოგადოებად აქცევს.

„საუბრისას მისთვის თითქოს სულერთია, ვინ აღმოაჩენს ჭეშმარიტებას — თქვენ თუ ის, ოღონდ კი აღმოჩნდებოდეს. მასთან საუბარი ყოველთვის რაღაცას გასწავლის: რწმუნდები, რომ მართალი არა ხარ, ან მართალი ხარ და იწყებ საქმეში უკეთესად გარკვევას, თანაც საუბრის დროს ყოველთვის საუკეთესო განწყობილება სუფევს“, — ასე ახასიათებდა რიკარდოს მწერალი მარია ეჯუორტი.

დაბოლოს, რიკარდოს მნიშვნელობის გააზრებისათვის ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის — პოლ ანტონ სამუელ-სონის ციტატა უნდა მოვიშველიოთ: „ცოტაა მწერალი, რომელიც ბედის წყალობით ყველას მოსწონს. დევიდ რიკარდო ასეთ იშვიათ ავტორებს მიეკუთვნება. კლასიკურ და ნეოკლასიკურ ეკონომისტთა, ასევე კეინსის მიმდევართა გენეალოგიის ხე მისით იწყება. იგივე შეგვიძლია ვთქვათ მარქსისტული სოციალიზმის ავტორებზეც“.

თავი I

ღირბელი მარტინი

განცხოვილი 1

საქონლის ღირებულება, ანუ ყოველი სხვა საქონლის რაოდენობა, რომელზედაც ეს საქონელი გაიცვლება, დამოკიდებულია შრომის შეფარდებითს რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა მის საწარმოებლად, და არა მეტ ან ნაკლებ გასამრჯელოზე, რომელსაც იმ შრომისათვის იხდიან.

ადამ სმიტს აღნიშნული აქვს, რომ „სიტყვა ღირებულებას ორი სხვა-დასხვა მნიშვნელობა აქვს: ზოგჯერ იგი გამოსახავს რომელიმე ცალკეული საგნის სარგებლიანობას და ზოგჯერ — მსყიდველობით ძალას სხვა დოვლათთან მიმართ, რომელსაც იმ საგნის ფლობა იძლევა. პირველს შეიძლება ენოდოს სახმარი ღირებულება, მეორეს საცვლელი ღირებულება, ნივთებს, განაგრძობს იგი, „რომლებსაც უდიდესი სახმარი ღირებულება აქვს, ხშირად აქვს მცირე ან სრულიად არა აქვს საცვლელი ღირებულება, და, პირიქით, ნივთებს, რომლებსაც აქვს უდიდესი საცვლელი ღირებულება, აქვს მცირე ან სრულიად არა აქვს სახმარი ღირებულება“. წყალი და ჰაერი უაღრესად სასარგებლოა, ისინი პირდაპირ აუცილებელია არსებობისათვის, მაგრამ ჩვეულებრივ პირობებში მათში არაფრის მიღება არ შეიძლება გაცვლის გზით. პირიქით, ოქრო, თუმცა მისი სარგებლიანობა ჰაერთან და წყალთან შედარებით მცირეა, სხვა დოვლათთა დიდ რაოდენობაზე გაიცვლება.

ამრიგად, სარგებლიანობა არ შეადგენს საცვლელი ღირებულების საზომს, თუმცა იგი აბსოლუტურად აუცილებელია მისთვის. თუ რაიმე დოვლათი არაფრისთვის არაა გამოსადეგი, სხვა სიტყვებით თუ მას არაფრით არ შეუძლია ხელი შეუწყოს ჩვენს კეთილდღეობას, იგი მოკლებული იქნება საცვლელ ღირებულებას, მიუხედავად, შესაძლებელია, მისი დიდი იშვიათობის ან შრომის რაოდენობისა, რომელიც საჭირო იყო მის მისაპოებლად.